ოთხშაბათი, 1918 წ. ივნისის 19 № 113

წელიწადი მეორე

ოთხშაბათი, 1918 წ. ივნისის 19 № 113

ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

ღრმად დამწუხრებული დედა დარია ზაალის ასული გაბაშვილისა, ძმა ზაალი, და თამარი და დისწული მერი მიქელაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ ივნისის 19, დილის 10 საათზე ქუთაისის გოჭოურის სასაფლაოს წმ. მარიამის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი

ქორქიკა გიორგი ისიდორეს ძე გაბაშვილის

სულის მოსახსენებლათ.

(2—2)

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

ამით აცხადებს, რომ ამერიდგან ნება დართულია თავისუფალი გადაზიდვა ქუთაისის გუბერნიის საზღვრებში სიმინდისა, პურის, ფქვილისა, შაქრისა და ყოველ გვარი სანოვაგისა და საქონლისა, რომლების გადასაზიდად არავითარი ნებართვა არ არის საჭირო და არავის არ აქვს უფლება სანოვაგე და საქონელი დააკავოს

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

3—2

განცხადება.

ხუთშაბათს, 20 ივნისს საღამოს 5 საათზე დანიშნულია ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მოსწავლე ახალგაზდათა (ე. ი. სტუდენტების და მოწაფეების) შეერთებული

კრება

თანამოაზრეთ, ვთხოვთ, აუცილებლათ დაესწრონ. („ჩვ. ქვ.“ რედაქცია).

საწარმოო კოოპერატივის „ერობის“ თგანყოფილებაში იყიდება

ფეხსაცმელი

კოოპერატივებს და მათ კავშირებს შეუძლია პარტიობითაც დაიკვეთონ. მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ. ვლ. წერეთლის სახლი.

თვ.—12.

განცხადება.

ხუთშაბათს, ივნისის 20, საღამოს სრულ 5 ნახევარ საათზე, პარტიის სამთო უბნის რაიონის კომიტეტის ბინაზე (ძველი თფილისის ქუჩა სახლი ილ. წინამძღვარიშვილის) ილარიონ ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას დღევანდელ მომენტზე. დასწრება შეუძლიან პარტიის არა წევრთაც. მოხსენების შემდეგ კამათი.

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

აცხადებს, რომ მას აქვს გასასყიდი წალის საძირე (დაბახანის ტყავი) 150 ფუთამდის, 200 ფუთამდის (პოლუვალი და სტელკა) კაზანი, ღაბახანის შავი მეში და აბოიკა. საქონელი გაიყიდება ერთიანად ხელმისაწდომ ფასებში. მსურველთ შეუძლიათ დაწვრილებითი ცნობები მიიღონ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში დილის 9 ს.—12 საათამდის.

ექიმი ივ. ბოკერიას ხირურგიული და გინეკოლოგიური საავადმყოფო მოსალოგინებელი განყოფილებით გაიხსნა და დასაწოლი ავადმყოფების მიღებაც განახლდა.

მიხეილის ქუჩა, წითელ ხიდთან, ქალაქის გამგეობის პირდაპირ. 31—თ.

მსურს დავიქირავო

ორი, სამი ან ოთხი დიდი სინათლიანი ოთახები სამთო უბანში. სასურველია მეორე სართული.

მისამართი: „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია ალ. თორაძე.

ექიმი ი. მ. პაპისოვი

(ბათომიდან)

განსაკუთრებით ღებულობს სიფილისით, ვენერიულ და კანის ავათმყოფობით. (შეშხაპუნება „606“ და „914“ ერლიხის პრეპარატების).

მიიღებს: 10—12 ს. და 6—8 ს. კვირაობით 10—12 საათ.

თფილისის ქუჩა, ეზიკოვის სახლი, კომერციულ სასწავ. პირდაპირ. (თვ.) 14

ექიმი გ. ა. ეზიკაშვილი მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავათმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

## დასელების შინაური პოლიტიკა.

ჩვენი დასელები შეუდგენ რევოლუციონური ორგანიზაციების თანდათანობითი დაშლას. სჩანს, ისინი ამჩნევენ, რომ მეტი გაღრმავება რევოლუციის აღარ არის საჭირო.

საქართველოში არ მოიპოვება კლასი და არც წოდება, რომელსაც შეძლება ქონდეს რევოლუციის მიზნების განხორციელებისათვის მებრძოლ პარტიებისათვის სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიოს.

არც ილაჯ-გაწყვეტილ და დასუსტებულ თავად აზნაურობას და არც ახლადფეხადგმულ, პოლიტიკულ ბრძოლაში გამოუცდელ და მშიშარა ბურჟუაზიას ამის უნარი არ შესწევს.

ამნაირათ, ქართველი დემოკრატია, მძლავრ მოწინააღმდეგეს მოკლებული, შეუფერხებლათ შეუდგა თავის პოლიტიკური და სოციალური მიზნების განხორციელებას.

მაგრამ უბედურობა ის არის რომ ამ დემოკრატიას ვერ გაუჩდა შესაფერი ხელმძღვანელი, რომელიც უჩვენებდა მას ნამდვილ გზას და ააშორებდა მრავალ ხიფათს, რომელიც მას თავს დაატყდა.

ჩვენ აქ აღარ შევეხებით ყველა იმ შეცდომებს, რომელიც მმართველმა პარტიამ ჩაიდინა ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში. ხოლო არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ყველაზე უფრო საზარელი და ქვეყნის დამღუპველი შედეგი მოყვა დასელების მთავრობის ყოვლად უვარგის და გამანადგურებელ შინაურ პოლიტიკას.

ამ ჟამათ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში საშინელი ანარქიაა გამეფებული.

ჩვენ გვეგონა, რომ წინათ რუსეთის და კავკასიის საქმეებათ დატვირთულ ჩვენებურ ინტერნაციონალისტებს საკმაო დრო არ ქონდა ეზრუნათ საქართველოს შინაურ მშვიდობიანობაზე, მაგრამ დახეთ უბედურებას, რომ ვერც, მათი ბრძნულ საგარეო პოლიტიკის მეოხებით, დასახიჩრებულ და ძალზე დაპატარავებულ საქართველოს ტერიტორიაზე შესძლეს მათ ერთხელვე ანთებული ცეცხლის ჩაქრობა.

ამის მიზეზი ის გახლავსთ, რომ კლასიურ თვალსაზრისზე მდგომ პარტიის წარმომადგენელნი მუდამ-ჟამ შინაურ მტრობა—განხეთქილებაზე ელაპარიკებოდენ ხალხს.

ასე წარმოიდგინეთ, დღესაც ამ საერთო გაჭირვების ხანაში, როცა ირგლივ მტერი შემოხვევია მრავალ-ტანჯულ ქვეყანას და მოსპობას უქადის მის დამოუკიდებელ არსებობას, კლასთა ბრძოლის პრინციპით დაბრმავებული ჩვენებური სოციალისტური პარტიები თითქოს ვერ ხედავენ კარზე მომდგარ საშინელ ეროვნულ საფთხეს და ძველებურათ განაგრძობენ ხალხის გამთიშავ კლასთა და წოდებათა შორის შუღლის მთესველ აზრების ქადაგებას.

რასაკვირელია ამისთანა ხელმძღვანელის ხელში ქვეყანა ვერ ეღირსება მშიდ მოქალაქობრივ ცხოვრების დამყარებას, არც საქართველოს მთელ სივრცეზე მძვინვარე ანარქია შეუძლებელია მოისპოს.

ეს რამდენიმე თვეა მთელი ზუგდიდის მაზრა ავაზაკთა სათარეშო სარბიელათ გადაქცეულა ეხლა, ვგონებ, არც მენშევიკებს სჯერა, რომ ეს იყოს ხალხოსნური მოძრაობა „ღრმა ეკონომიური წინააღმდგობით“ გამოწვეული.

ლეჩხუმმაც მიბაძა თავის მეზობლებს და იქაც იწყება „გლეხთა და მემამულეთა შორის არსებულ შეურიგებელ ანტაგონიზმის ნიადაგზე აღმოცენებული ბრძოლა“ დიახ სასაცილოა რომ სავალალო არ იყოს დღევანდელი ჩვენი ყოფა.

ნუ თუ იმის მტკიცებაა საჭირო, რომ დღევანდელ პირობებში სულ სხვა გზით სიარულია საჭირო.

მართლა ბრმა უნდა იყოს პარტია თუ კერძო პიროვნება, რომელსაც არ შეუძლია იმის დანახვა, თუ სად მიიყვანს ქვეყანას ამნაირი ჯგუფური პოლიტიკა.

თქვენ შეიძლება მოახერხოთ ხალხის დარწმუნება, რომ, ეხლა თან შეძხზული „200 აზნაურთა პეტიცია“ ნაციონალ-დემოკრატების საქმეა, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოების შეძლებული ნაწილის თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის ინტერესების დამცველია.

ან და რომ სოციალ-დემოკრატების უკანასკნელი დროის მიუტოვებელი და სამშობლოს დამღუპველი შეცდომები ნაციონალისტების ბრალი იყოს, და ერთად-ერთი სამშობლოს და ხალხის მოყვარულნი თქვენ იყვეთ, მაგრამ ამით ეშველება რამე გავერანებულ და დამცირებულ ქვეყანას და იქ მოსახლე ხალხს? არა ბატონებო პარტიული თავმოყვარეობა ამ მეტად მძიმე ისტორიულ მომენტში მაინც უნდა იყოს უარყოფილი. უამისოთ ყოვლად შეუძლებელია საერთო, საქვეყნო საქმის კეთება.

ალ. თორაძე.

# რუსობა ქართულ ჯარში.

ერთი თვეც არ გასულა მას აქეთ რაც საუკუნოებით გაწამებული საქართველო კვლავ ეღირსა მსოფლიო რუქაზე აღბეჭდვას, რომ მას უამრავი მტრები მოევლინენ არა თუ გარედან, რაც ადვილი ასახსნელია, არამედ შიგნიდანაც.

და შიგნიდან გატეხილი ციხის გამთელება გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ აშკარა მტრის მიერ დაზიანებულისა.

მტერი რომ დაუფარავად აცხადებს თვის მტრობას, ის მომზადებულ წინააღმდეგობასაც წააწყდება, მაგრამ როცა იგი მეგობრის სახით მოგვევლინება, როცა ის ხოტბა-დიდებას გვაყრის და ზურგს უკან კი ხანჯალს ლესავს გულში ჩასაცემად, მაშინ მას მეტი ვნება მოაქვს ჩვენთვის. ასე იქცევიან ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს მტრებიც. არას ვიტყვით სოციალ დემოკრატიულ რუსულ გაზეთ „ბორბაზე", არც „ზნამია ტრუდაზე", არც „კავკაზსკოე სლოვო"-ზე არც „ჰორიზონზე", „აშხატავორზე", „მშაკზე" და სხვა მრავალ რუსულ თუ სომხურ გაზეთებზე-სუვერენულ საქართველოს ტერიტორიაზე, მის დედა ქალაქ თბილისში რომ გამოდიან. ამათი წოთმენა როგორც სჩანს მეტად ადვილია ჩვენი მთავრობისათვის.

ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ უმთავრესი ბოროტება ჩვენი დამოუკიდებლობის უმთავრეს საძირკველში რომ ჩამკვიდრებულა.

როგორც ყოველთვის და ყველგან ისე ჩვენშიც, სახელმწიფო ჯარზე ემყარება; მაშასადამე ჯარის მთლიანობა, მისი ურყევლობა და იმედიანობა პირველ საზრუნავს უნდა შეადგენდეს საქართველოს მთავრობისათვის. ჩვენ არ ვეჭვიანობთ, რომ მთავრობაც და ჯარის უფროსებიც დღეს დიდს ენერგიას ანდომებენ სწორედ ამ საგანს, მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია, როგორ აღმოჩნდნენ ჩვენი ჯარების საპასუხისმგებლო ადგილებზე რუსი ოფიცრები. ჩვენ ვიცით, რომ ისინი გაჭირვებულნი არიან, ვიცით რომ ულუკმა პუროდა და უსახსროდ დარჩნენ, მაგრამ განა ეს საკმარისი საბუთია მათი პასუხისმგებელ თანამდებობებზე დატოვებისათვის? ისიც იმ დროს, როცა ჩვენ არ ვიცით, რომელი სახელმწიფოს ქვეშევრდომები არიან ისინი რუსეთისა თუ საქართველოსი?

ბევრ ქართულ პოლკში, ისეთებიც, რომელიც ნაქებია თვისი დისციპლინით, როტებს რუსი ოფიცრები ხელმძღვანელობენ, საოჯახო სამეურნეო ნაწილები მათ ხელშია, კანცელარიებიც ამოკალათებულან და შტაბებშიც მუშაობენ. ეს კიდევ მოსათმენი იქნებოდა, მათი ქვეშევრდომობა რომ გამორკვეული იყოს და მათი საქართველოსადმი ერთგულება უეჭვო, მაგრამ როცა ჩვენს წინაშე აქ კითხვითი ნიშანია აღმართული ნურას უკაცრავად, თუ მათი კვლავინდებური ბატონობის ალსასრული მოვითხოვოთ.

ჩვენი სოციალისტები ბევრს ლაპარაკობენ ამ ბოლო ხანებში საქართველოს ერთ გულებაზე, ეროვნულ დემოკრატებს სიმართლის თქმისათვის შავრაზმელებად სახავენ, ათასგვარ ერთი მეორეზე უსაზიზღრეს ჭორებსა და პროვოკაციებს სთხზავენ, ხოლო ნამდვილი პროვოკატორებისა და შავრაზმელების აღმოჩენა მათ ავიწყდებათ თბილი ადგილების დაკარგვის მოლოდინში და მათი ბატონობის ალსასრულის წინ. საქართველოს ერთგული ასე არ მოიქცევოდა. იგი ჯერ თავის გარშემო თავმოყრილ წრეებს განსწმენდდა და მერე კი ჩვენი მომავლის უზრუნველმყოფელ ინსტიტუტს—ჯარს გასწმენდა ათას გვარ რუსობისაგან.

ამ გარემოებაზე მივაქცევთ ჩვენ ჩვენი მთავრობის ყურადღებას და მოვითხოვთ, საჩქაროთ მოხდეს უცხოელთა ბატონობის ლიკვიდაცია ჩვენს ნორჩ სახელმწიფოში.

ი. ხალი.

# წერილი ფრონტიდან.

სასიხარულო ისტორიული დილაა!.. დღეს დამოუკიდებელ საქართველოს ლაშქარი მიემართება ნ—ს დასაკავებლად.

ქართველი მეომრები საუკუნოებრივ მონობის შემდგომ პირველად მივჰყვებით მშობლიურ სახელმწიფოს დროშას.

ბ—ს სიმაღლიდან დავჰყურებთ კეკლუც სამშობლოს. აქ თავი მოუყრია საქართველოს ახალგაზდობას... რა ერთსულოვნებაა! ეროვნულ ბრძნებლობის წიაღში ვამქრალა „მახინჯი რუსული „ბოლშევიზმი"... ქართველი ჯარის კაცი სახელოვან და ამაყ მეომრის სახელს იბრუნებს. აი, მოგვიახლოვდა გამოცდილი სარდალი და გვეუბნება!.. „ივერიის არწივნო! პირველად გიხდებათ სამშობლოსთვის თოფის აღება!.. თქვენმა მრავალ ტანჯულმა სამშობლომ უკანასკნელ დროს დაჰკარგა კუთვნილი მიწაწყალი, ბათომი მტერმა წაგვართვა, მაგრამ საქართველოს სწამს, რომ დროებით წელში მოხრილი ქვეყანა მალე გაიმართება და რისხვათ მოევლინება მომხდურ მტრებს, თავზარს დასცემს მათ!.. თავგანწირული მხედრები, ერთგული მეომრები დაკარგულ მიწაწყალს სამშობლოს სულ მალე დაუბრუნებენ, მე ეს მწამს, მე ამით ვცოცხლობ!..

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს მამაც ლაშქარს!..

„ასეც იქნება, სამშობლოს არავის დავანებებთ!.. გაისმის ჯარში.

ქვეითა ჯარი ვაშას იძახის, ცხენოსნები მოხდენილად დაიძრენ, კოხტა ვაჟკაცებს შვენით ცხენოსნობა!..

ზანტად მიგორავს არტილერია!.. მრავალ მეომართა სახეები ირწმუნებიან, რომ ქართულ ხმალს ასახელებენ...

სარდალმა ხელი გაიქნია და არტილერიამ „ფრენა" იწყო!.. „ბიჭებმა" გააბეს სიმღერა!.. „ბრძოლა, ბრძოლა ძმანო მამაპაპური, თორემ მტრისგან გველუპება მამული!..

სამშობლოს პირველ ლაშქარს ულიმის თავისუფალ საქართველოს ასიათასჯერ განაწამები მაგრამ მაინც ლამაზი, მაინც ტურფა მთა ბარი, მინდორ-ველი...

საქართველოს ფრონტი.

ირაკლი.

# საყურადღებო საუბარი.

გაზეთ „ედინენიეს" თანამშრომელს ფრიად საყურადღებო საუბარი ჰქონია მთიელთა კავშირის წარმომადგენელთან ალიხან კანტემირთან. კანტემირი ეხლახან დაბრუნდა ბათომიდან. ის სამშვიდობო დელეგაციაში ღებულობდა მონაწილეობას, როგორც რწმუნებული დაღესტანისა, და ჩრდილოეთით კავკასიელ მთიელებისა.

„ედინენიეს" თანამშრომელის შეკითხვებზე თუ რა მიზანი აქვს მათსა და ოსმალეთს შუა დადებულ „მეგობრულ ხელშეკრულებას", რა ნიადაგზე მოხდა შეთანხმება, კანტემიროვმა უპასუხა:

— უწინარესად ყოვლისა ჩვენი დელეგაცია ცდილობდა დაღესტანისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ეს ჩვენი უმთავრესი სურვილი ოსმალებმა იცვნეს და ჩვენს დელეგაციას უყურებდენ, როგორც იურიდიულად უფლება მოსილ პიროვნებას.

შემდეგ ჩვენ მოვაწერეთ ხელი ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენს ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას უზრუნველ ყოფდა ჩვენივე კუთხის სასარგებლოდ.

— როგორ ფიქრობთ, გერმანია იცნობს თქვენს დამოუკიდებლობას?

— ვფიქრობთ, რომ კი,—უპასუხა კანტემირმა,—ზოგიერთ ცნობების მიხედვით მგონი გერმანიამ კიდევაც იცნო ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

— საინტერესოა ვიცოდთ, რომელ საზღვრებზე აცხადებთ თქვენ პრეტენზიას.

— დაღესტანზე, ჩეჩნეთზე, ჩრდილოეთ კავკასიაზე, ყუბანის ნაწილზე, სადაც ჩერქეზები და მთიელები მოსახლეობენ. ჩვენ ვთხოულობთ აგრეთვე სოხუმსაც.

— რა თქვით თქვენ?

— მე ის ვთქვი, რომ ჩვენ სოხუმსაც ვთხოულობთ, რადგანაც ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ სოხუმი ქართველებს არ ეკუთვნის.

— ასე რომ დამოუკიდებელი მთიელთა კავშირი ცდილობს რაც შეიძლება გააფართოვოს თავის გავლენის სფერო.

-- რა თქმა უნდა. ჩვენ ვცდილობთ ჩვენი გავლენის ქვეშ იყოს აგრეთვე კალმიცკის მიდამო ასტრახანამდე. ყუბანი გვინდა გავაფართოვოთ შავ ზღვამდე. რაც შეეხება ოსეთსა და ვლადიკავკაზს, ამაზე ხომ ლაპარაკი საჭირო აღარაა.

— მაშ ასე... თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთი წინ არ აღუდგება თავის ტერიტორიის ასე დაქუცმაცებას?

— არ ვიცით რას ფიქრობენ ჩვენს შესახებ რუსეთში, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსეთი იცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას. ყოველ შემთხვევაში მთიელთა კავშირი ცდილობს გამართოს მოლაპარაკება ამის შესახებ რუსეთთან.

— როგორ უყურებთ თქვენ ბაქოს, ეს ქალაქი არის თუ არა სადაო დაღესტანლებსა და ადერბეიჯანელებს შორის?

— გეოგრაფიული მდგომარეობით ბაქო უთუოდ დაღესტანლებს უნდა გადაეცეთ, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებით ბაქოს ადერბეიჯანისკენ აქვს მისწრაფება და ვფიქრობთ ამ უკანასკნელს დარჩება.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთი ბაქოს ადერბეიჯანს დაუთმობს?

— მე ვფიქრობ, რომ ბაქოს უფრო ადრე ოსმალეთის ჯარი აიღებს, რასაც კიდევაც შეპირდენ ბათომში მუსულმანთა დელეგაციას ოსმალები. შეიძლება ბაქო შეთანხმებით ადერბეიჯანს დაეთმოს. საქმე ისაა, რომ ბაქოს დღეს სომეხთა ორგანიზაციული ძალები პატრონობს. რამდენადაც ვიცი, ბაქოში ჩავიდა სომხის დელეგაცია, რომელიც სთხოვს ბაქოელ სომხებს ნავთის რაიონი უომრად დათმოს.

— მიიღეს თუ არა თბილისში თქვენი და ოსმალების ხელშეკრულების წერილობითი ასლი?

— ხელშეკრულება გვაქვს, მაგრამ გამოაქვეყნებენ იმას თუ არა, ან როდის არ ვიცით—ვინ იყო თქვენს დელეგაციაში თქვენს გარდა?

— ბომატოვი და სხვები...

— მიიღებთ თუ არა მონაწილეობას სტამბოლის მომავალ კონფერენციაზე?

— ოსმალებიდან ჩვენ იქ უკვე მიწვეული ვართ და რასაკვირველია დავესწრებით.

— როგორ დგას მთავრობის კონსტრუქციის საკითხი დაღესტანში და ჩრდ. კავკასიაში?

მთავრობა დგება. სჩანს სხვადასხვა გვარი კომბინაციები. მოლაპარაკება სწარმოებს ცალკე გამოჩენილ მოღვაწეებთან.

(„ედინენიე")

ია. კ--სკი.

# სადახლოს აღება.

ჯავშნოსან მატარებლების უფროსი, რკინის გზის ხაზის კომენდატი პორუჩიკი გოგვაძე დეპეშით იუწყება: „13 ივნ. ღამის 12 საათზე მე მივიღე სანდარის რაზმის უფროსიდან პოლკ. ჩხეიძისაგან ბრძანება, რომ მე წამეყვანა ჯავშნოსანი მატარებელი სადახლოზე, რაც მე შევასრულე და 14 ივნ. დილის 4 საათზე შევედი სადახლოში სადახლოელები დამორჩილდენ უბრძოლველათ და შეგვხვდენ ჩვენ პურ მარილით ისინი აღიარებენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. 9 საათზე მატარებელი წავიყვანე სანაინზე გზა გზა ვხსნიდი თათრების პოსტებს ოფიცრებით. ალავერდის მისახვევში კინალამ დავეჯახეთ თათრების ეშელონებს, მაგრამ ტორგაზის წყალობით მატარებელი შევაჩერეთ და გადავრჩით. თათრების ეშელონი გაბრუნდა დიდი სიჩქარით სანაინისკენ. მათ დაედევნა ჩვენი ჯავშნოსანი. სანაინში ჩასვლისას თავს დავესხით თათრების ჯარს და წამოვიყვანეთ ტყვეთ 300 ასკერი, ოფიცრები, სამასი ცხენი და მრავალ სამხედრო მასალა.

ამის შემდეგ მატარებელი კვლავ დაედევნა გაქცეულ ეშელონებს და მიეწია მას 5 ვერსის მანძილზე სანაინიდან. ეშელონმა დაიწყო სროლა ჩვენც ვუპასუხეთ. რომელიმე ეშელონები დავატყვევეთ. ტყვეების საერთო რიცხვი უდრის 400 კაცს ოფიცრებით ჩვენ მხრით დანაკლისი არ არის. სომხები დიდი სიხარულით გვხვდებოდენ ჩვენ. ლტოლვილები ბრუნდებიან თავის ადგილებზე. გერმანელების ჯარი უკან მოგვყვებოდა ჩვენ ორი—სამი სადგურის უკან. ჩვენი და მათ შორის განწყობილობა კარგია გარდა ამისა სადახლოში ჩვენ დავაკავეთ თათრების „ობოზი" 58 ფურგუნი, რომლებიც მოეშურებოდენ ელისავეტოპოლისაკენ. მივიწევთ წინ".

# ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**ჩვენმა ჯარმა აბასთუმანი დაიკავა.** ქუთაისის გუბერნიის კომისარს ატყობინებენ, რომ ჩვენმა ჯარმა აბასთუმანი უკვე დაიკავა.

✦ **საქართველოს ფინანსები** საქართველოს რესპუბლიკის ფინანსები ისე მტკიცეთ ყოფილა მოწყობილი, რომ მას ამ მოკლე ხანში არავითარი დაბრკოლება არ მოელის.

✦ **შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროში.** ქუთაისის ქალაქის თვითმართველობა ფინანსთა სამინისტროს ატყობინებს, რომ ქალაქში ხურდა ფული სულ აღარ მოიპოება რის გამოც მცხოვრებნი დიდ გასაჭირს განიცდიან. ხურდა ფულის უქონლობის გამო სურსათის ყიდვა-გაყიდვა შეუძლებელი ხდება. ამისთვის ქალაქის გამგეობას აზრად აქვს დაარსოს ფულის დამხურდავებელი „დუქნები" მსხვილი ფულის დახურდავებისათვის დაკავებული იქნება პროცენტები. თუ ეს საკითხი თქვენგან პრინციპიალურად უარყოფილი არ იქნება გთხოვთ გვაცნობოთ პროცენტის რაოდენობა.

✦ **ერობის არჩევნების შესახებ.** 17 ქუთაისში დანიშნული იყო პარტიების წარმომადგენელთა კრება იმის გამოსარკვევათ თუ რამდენად შემძლებელია ამ ჟამად მოხდეს ერობის არჩევნები. კრება ყველა პარტიების წარმომადგენელთა დაუსწრებლობის გამო სხვა დროისათვის გადაიდო.

✦ **წვრილ მოხელეთა პროფესიონალურ კავშირში.** 17 ივნისს მოხდა წვრილ—მოხელეთა პროფესიონალურ კავშირის კრება. კრებამ განიხილა იმ მოხელეთა მდგომარეობა, რომელნიც შტატების შემოკლების გამო სამსახურს გარეთ დარჩენ და დაადგინეს: იშუამდგომლონ ქუთაისის გუბერნიის შრომის კომისარის წინაშე რომ იმ წვრილ მოხელეთ რომელნიც სამსახურს გარეთ დარჩენ მიეცესთ ერთდროული დახმარებათ 6 თვის ჯამაგირი, აგრეთვე შემდეგისათვის სამსახურიდან უნდა განთავისუფლებულ იქმნენ ისინი ვისაც პენსია აქვთ დამსახურებული და არა ახალგაზდები.

✦ **სპეკულიაცია ნავთით.** მიუხედავათ იმისა, რომ ამ ჟამად ქუთაისში ნავთი არსაიდან მოდის, ბევრ დუქნებში ნავთი აღმოჩნდა. გირვანქა ნავთს 3 მანეთად ჰყიდიან.

✦ **არშინ მალ ალანი.** ოპერეტკა არშინ მალ-ალანის ბილეთი უკვე გაიყიდა. პირველ წარმოდგენაზე 17 მაისს ქალაქის თეატრში ტევა არ იყო.

✦ **ქუთაისის ქალაქის თვითმართველობა** შემდეგს ატყობინებს საწყლოსამმართველოს: „ინჟ. მ. ყაუხჩიშვილის წინადადების თანახმად, რომ მდინარე რიონის ძალა კონცესიით გავსცეთ. ქალაქის გამგეობა გთხოვთ ამ საკითხის გადაჭრის დროს განიხილოთ ის საკითხიც რომ ქალაქის გამგეობამ ისარგებლოს ელექტრონის ძალით.

✦ **საზოგადო საკრებულო** გადავიდა საზაფხულო შენობაში.

◆ **მკვლელობა.** ს, უშაფათში (ძველი სენაკის მაზრა) 6 ივნისს ახუთის სოფლის მწერალმა სიმონ ჯალაღანიამ კერძო ინტერესით მოჰკლა უშაფათის მცხოვრები ექვთიმე გოგინავა.

◆ **ცარცვა გლეჯა.** სოფ. ეწერში (აბაშის რაიონი) 12 ივნისს ალექსანდრე და ვარდენ შუბლაძეები თავს დაესხნენ თეიმურაზ გუგუშვილს. წაართვეს 220 მანეთი ფულად და სხვადასხვა ნივთები.

◆ **გერმანული საელჩო** აცხადებს, რომ ის ცნობა თითქოს 200 ქართველ აზნაურს თხოვნით მიემართოს საელჩოსათვის აგრარული რეფორმის გაუქმების შესახებ, სიმართლეს **მოკლებულია.**

◆ **ბავშვების დაკარგვა.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ 17 ივნისს დილის 6 საათიდან საკუთარი სახლიდან გაიპარა ორი ძმები კლიმჩუკები ერთი ალექსანდრე 10 წ. და მეორე კონსტანტინე 7 წ. ლაპარაკობენ ქართულად და რუსულად. მნახველთ ვთხოვთ შეატყობინონ შემდეგი მისამართი: ქ. ქუთაისი ბალახვანის ქუჩა, ხათრიძის სახლი, იაკობ კლიმჩუკს.

◆ **ნაპოვნი შაქრის ბარათი.** ვიპოვეთ შაქრისა და პურის ბარათი № 2324, ნინა წულუკიძის სახელზე გაკეთებული. პატრონს შეუძლია მოიკითხოს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში შ. ლეკვიაშვილთან.

◆ **პარტიის ცხოვრებიდან.** ხვალ ხუთშაბათს 20 ივნისს საღამოს 5 1/2 საათზე პარტიის სამთო უბნის რაიონის კომიტეტის ბინაზე (ძველი თბილისის ქუჩა, სახლი ილ. წინამძღვარიშვილისა) ილარიონ ელენტი წაიკითხავს მოხსენებას დღევანდელ მომენტზე. დასწრება შეუძლიან პარტიის არა წევრთაც. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

## შეცდომის გასწორება.

კვირას ჩვენი გაზეთის ნომერში ბ. — 6 **კ. კაპანელი-ჭანტურაიას** წერილში „**სული და** სოციალიზმი“ ში შემდეგი კორექტურული შეცდომა გაგვეპარა: 1) წერილის ბოლოდან მე-17 სტრიქონში სწერია: „ბერები **და** მწვალებლის წარმომადგენლები და სხ.“ **უნდა იყოს:** ბერების და მწვალებლობის წარმომადგენლები და სხვა. 2) ბოლოდან მე-11 სტრიქონში სწერია: ერი დაიღუპება თუ იგი საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ პროგრამებს და სხვა ერთა ცხოვრებისთვის შექმნილ დოგმებს და სხ. **უნდა იყოს:** ერი დაიღუპება თუ იგი გაყვა საზღვარაგრეთიდან ჩამოტანილ პროგრამბს და სხვ.

აგრეთვე რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს რომ პ. კ. კაპანელი-ჭანტურაიას წერილი ფელეტონის ნაცვლად შეცდომით, შეუფერებელ ადგილას დაისტამბა.

აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ გუშინდელი ჩვენი გაზეთი სტამბის მიერ არეულ-დარეულია პირველ გვერდს მიჰყვება მეოთხე გვერდი, მეოთხეს მესამე და მესამეს კიდევ მეოთხე..

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### საბჭოთა მთავრობის ჩამოგდება.

სამხედრო სამინისტროში ცნობა მოვიდა, რომ მოსკოვში სახალხო კომისართა მთავრობა ჩამოაგდეს. აჯანყება მოდის ციმბირიდან შიდ რუსეთში. საბჭოთა მთავრობაში ლიკვიდაციის ხანაშია.

### ბრძოლა მოსკოვში და პეტროგრადში.

თბილისის ერთ-ერთი ბანკის დირექტორს მოუვიდა ცნობა, რომ მოსკოვისა და პეტროგრადის ქუჩებზე საშინელი ომია.

### უკრაინა და გერმანეთი.

გერმანეთის სამხედრო მისიის მდივანს უთქვამს, რომ გერმანეთში სახელმწიფოებრივი გადატრიალება მოხდა. გერმანეთის უმაღლესი მთავრობის სრულიად გაუგებრად. კიევში მყოფი გერმანელ მხედრობამ თვითონ გადადგა ეს გაბედული ნაბიჯი, ერთი ახალგაზრდა ლეიტენანტის მეთაურობით-

### ოსმალეთი და გერმანეთი

მთავრობის წრეებში დარწმუნებული არიან, რომ გერმანეთი თბილისში მყოფ გერმანეთის დიპლომატიის წარმომადგენლის მეთაურობით ნოტას უმზადებს ოსმალებს ბორჩალოში მომქმედ მუსულმან ბრბოთა შორის მყოფ ოსმალურ ძალების მონაწილეობის შესახებ.

### შორეულ აღმოსავლეთი

შეთანხმების სახელმწიფოები დიდ ყურადღებას აქცევენ შორეულ აღმოსავლეთს. ასე მაგალითად უკანასკნელი ხანებში, ხარბინში დაარსდა ფრანგების გენერალური საკონსულო. ამერიკელ გერმანელმა გენერალმა ნაიტმა იყიდა ბოლშევიკებისაგან ამურში მთელი მდინ. ფლოტი 650. 000 დოლარად.

## მთავრობის დეკლარაცია*)

**წაკითხული ეროვნულ საბჭოს კრებაზე ივნისის 15 ს.**

26 მაისს გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და შესდგა ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხის მგებელი მთავრობა.

რესპუბლიკის მთავრობის პირველ შემადგენლობას მეტად რთულ დამწვავე პირობებში დაეკისრა ქვეყნის მართვა-გამგეობა.

მის მთავარ მოვალეობას შეადგენს საქართველოს ხალხი გამოიყვანოს მსოფლიო ომის ქარტეხილიდან, ხელი შეუწყოს რესპუბლიკანურ წესწყობილების დამყარებას და დიდი რევოლუციით მოპოებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა საბოლოო განმტკიცებას.

ამ ისტორიულ მოვალეობათა მიხედვით მთავრობის უპირველესი საგანი იყო გარეშე საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას ემუქრებოდა და ნორჩ რესპუბლიკას კულტურულ განადგურებას უქადდა. ამ მიზნით მთავრობამ უკვე გადასდგა რამდენიმე დიდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი. 28 მაისს ქალაქ ფოთში გერმანიის მთავრობის საიმპერიო წარმომადგენელთან დადებულ იქმნა წინასწარი ხელშეკრულება, რომლის თანახმად გერმანიის მთავრობამ აღგვითქვა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და მისი ტერიტორიის ხელუხლებლობის დაცვა. ჩვენთან შეთანხმებით გერმანიამ გამოგზავნა თავის ჯარი, რომელიც იმოქმედებს ჩვენს განკარგულებათა თანახმად და მთავრობას ხელს შეუწყობს გარეშე საზღვრების დაცვის საქმეში

მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მან მოამზადა ნიადაგი, რათა მკვიდრი კეთილ განწყობილება განმტკიცდეს გერმანიის სახელმწიფოსთან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

4 ივნისს ქ. ბათომში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოსმალეთთან ხელშეკრულობას, ამ გზით ჩვენი ხალხის საყოველთაო მისწრაფება ოსმალეთთან ზავის ჩამოგდებას განხორციელდა და გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოსაზღვრე სახელმწიფოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის დასამყარებლად.

მთავრობა თავისს მოვალეობად რაცხს აშკარად აღიაროს, რომ 4 ივნისის ხელშეკრულების ზოგიერთი პირობები ქართველ ხალხის გულში სრულიად სამართლიან მწუხარებას გამოიწვევს, მაგრამ მთავრობა იმედოვნებს, რომ ნორჩი რესპუბლიკის ენერგიულ შემოქმედებით და დიპლომატიური საქმიანობით მომავალში ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესები დაცული იქნება.

მთავრობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მის წარმომადგენელთა წინადადებით ამ დღეებში ქ. სტამბოლში შეიკრიბება ოთხ მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელზედაც მიწვეულ არიან აგრეთვე ჩვენი წარმომადგენლები და რომლის უმთავრესი საგანია საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გამორკვევა და უზრუნველყოფა.

მთავრობა თავის მოვალეობად რაცხს დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დემოკრატიული წყობილება ყოველნაირ გარეშე და შინაურ საფრთხისაგან.

მთავრობა ნათლად ხედავს, რომ დიდის რევოლუციით მოპოებული სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა განხორციელებას ხელს უშლის არევ-დარევა, რომელმაც თავი იჩინა ჩვენი სახელმწიფოს ზოგიერთ კუთხეში.

ამიტომაც მთავრობა მთელის თავისის ძალღონით შეეცდება ანარქიის ყოველნაირ ნიადაგის მოსპობას და სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცებას.

ამ მიზნისთვის საჭიროა დამყარდეს ერთი ძლიერი მთავრობა, ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი, რომლის გვერდით, როგორც ეს რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა უკვე აღიარეს, არ უნდა იდგეს არც ერთი, მთავრობის უფლებებით აღჭურვილი ორგანო.

მთავრობა აღიარებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად აუცილებლად საჭიროა საკუთარი ევროპიულის წესით გაწვრთნილი ჯარის შედგენა და ამავე დროს მთელის ხალხის მიერ სამხედრო ხელოვნების შესწავლა, რათა საჭიროებისას სახელმწიფომ შესძლოს თვისი საზღვრების დაცვა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა.

მთავრობა თავის მოვალეობად მიიჩნევს ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული ის დებულება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქობრივი და ეროვნულ კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი.

ახალ დემოკრატიულ წყობილების განსამტკიცებლად მთავრობა ზომებს მიიღებს დაჩქარებით შემოიღოს საერობო თვითმართველობა, განსაზღვროს ადმინისტრაციის და თვითმართველობის ურთიერთობა და ახალ პირობათა მიხედვით გარდაქმნას სასამართლო და სკოლა და დაჩქარებით განახორციელოს სავალდებულო უფასო პირველ დაწყებითი სწავლა განათლება.

საქართველოს ეკონომიური განვითარების ხელ შესაწყობად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ფინანსიური მეურნეობის მოწესრიგება, ფულის სისტემის შემუშავება და საკუთარი ფულის მოჭრა; ხოლო, ვიდრე ეს რთული საქმე მოეწყობოდეს, —მთავრობა ზომებს მიიღებს შინაური და საგარეო სესხის ასაღებად. მთავრობა დაუყონებლივ შეუდგება შემოსავლისა და ქონების მიხედვით პროგრესიული გადასახადის შემოღებას და გადასახადთა მთელ სისტემის გარდაქმნას, რათა საუკეთესოდ დაცულ იქნას მშრომელი ხალხის ინტერესები.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა მთელი თავისი ძალღონით შეუდგება დაწყებულ აგრარულ რეფორმის განხორციელებას და ამ გზაზე ყოველივე დაბრკოლების დაძლევას.

ზავის ჩამოგდებით მყარდება წინასწარი პირობა საწარმოვო ძალთა განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ეკონომიურ განვითარების ხელშესაწყობად, აგრეთვე უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობას განზრახული აქვს საქართველო მოჰფინოს რკინის გზებით, მოაწყოს ტყეების წესიერი ექსპლოატაცია, შეუდგეს არხების გაყვანას და საერთოდ იზრუნოს ინტენსიურ სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

რათა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ხალხის საკეთილდღეოთ გამოვიყენოთ, მთავრობა საჭიროდ სთვლის ყოველგვარი მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად აღიარებას და შესაფერ კანონ პროექტს ახლო მომავალში წარუდგენს ეროვნულ საბჭოს. აგრეთვე მთავრობას განზრახული აქვს დააწესოს სახელმწიფო კონტროლი საზღვარ-გარედ ნედლი მასალის გატანაზე.

მთავრობა ხელს შეუწყობს სოციალურ კანონმდებლობის განვითარებას და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მთავრობას დიდმნიშვნელოვან მორიგ საქმედ მიაჩნია ხალხის უზრუნველყოფა სურსათით, [illegible] მეგს [illegible].

მთავრობა [illegible], რომ ის [illegible] ახლო მომავალში მოწვეული იქნას სრულ დემოკრატიულ საფუძველზე საქართველოს დამფუძნებელი კრება ნორჩ რესპუბლიკისათვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად და სახელმწიფო საქმეების მოსაწესრიგებლად.

მთავრობას სრული იმედი აქვს, რომ ქართველი ხალხი რომლის დემოკრატიის დაუღალავი ბრძოლა უცხოეთშიაც საერთო ალტაცებას იწვევს და სძლევს, ყოველგვარ დაბრკოლებას რაიცა ნორჩ რესპუბლიკას წინ გადაეღობება, და რომ ყველა მოქალაქე გაიმსჭვალება სამშობლოს წინაშე პასუხისგების გრძნობათ და მთავრობას დახმარებას აღმოუჩენს დიდის რევოლუციის მოპოებათა განმტკიცებასა და რესპუბლიკის აყვავების საქმეში.

*) ეს დეკლარაცია ეროვნულმა საბჭომ არ მიიღო, რაც უნდა შესწორდეს.

## რუსეთის ცხოვრებიდან.

1

ხალხური ლეგენდების, ცრუ მორწმუნოების ზღაპართა, თქმულების და ანდაზების შესწავლა ერთ გვარი მეცნიერების დარგია. ინგლისურად „ფოლკლორ“ ჰქვიან. ყველა ხალხი მის სულის განვითარებას, სულის კვეთებას, თავისს დაკვირვებას მის ზღაპრებში, თქმულებაში და მეტადრე ანდაზებში გამოსთქვამს. რუსთველის სიტყვა ადამიანმა რომ გადააკეთოს „გრძელი სიტყვა-მოკლედ ითქმის ანდაზაა ამით კარგი“.

ილია მურომეცი-ხალხის გმირი 33 წელი დასუსტებული, უძლური, დავრდომილი სტუმრების სასწაულით უეცრად იმართება წელში და „სვამს ჩაფ-ნახევარ მწვანე ღვინოს“ ე. ი. სივუხას—დაბალი ხარისხის არაყია. გმირობაა სწორედ ამყრალებული „ჩაფ-ნახევარის“ არაყის გადაკვრა! თავი და ბოლო კი ის არის, რომ ეს „ჩაფ-ნახევარი“ ამ უძლურ კუტს არა სამსონის ნაკლებ ძალას აძლევს!

რუსეთის დიდმა მთავარმა ვლადიმერმა რომელმაც პირველმა მეცხრე საუკუნეში ქრისტიანობა მიიღო სთქვა: „რუსეთის მხიარულება—სმაშიაო“.

ამ დიდებულ მთავარს ხალხმა „ბრწყინვალე მზე“ დაარქვა. ბრწყინვალე მზე რომ მართალი იყო და თავისს ხალხს ზედ მიწევნით იცნობდა—დაამტკიცა განსვენებულმა პორტსმუტის გრაფმა ფინანსთა მინისტრმა ს. ვიტატემ,..

ამ დიად ფინანსისტმა რუსეთის ბიუჯეტის ბურჯად „ვოდკა“ გახადა, „მურომეცის ჩაფ-ნახევარი მწვანე ღვინო,“ „ვლადიმერის მხიარულება,“ „ვიტეტეს ბიუჯეტის ბურჯი“ ხალხს თურმე ისე შესისხლხორცებული ჰქონია, რომ უკანასკნელ პიროგოვის კრებაზე ექიმთა კრების ოქმების წაკითხვაზე რომელიც ძველ რეჟიმისმ დროს დიდ დანაშაულად ითვლებოდა გამოირკვა რომ რუსეთში 50 პროც. ალკაგოლიკი ყოფილა და 60 პროც.-ს კი „606“ საჭიროებია! (თვით პიროგოვის კრებებზე რამდენი ალკოგოლი იღეოდა ამაზე სხვა დროს.).

კარგად მოგეხსენებათ ყირიმში ვენახებიც ბევრია და ღვინოსაც კარგს აყენებენ, სხვათა შორის თეოდოსიაში და მის ახლო მახლო სოფლებში ყირიმელი თათრები ზვრებს აშენებენ. გარდა ბაღოსნობისა მათი ცხოვრების წყაროს მევენახეობა შეადგენს. თათრები ყურძენს ფულად ანაღდებენ, რადგანაც მაჰმადის სჯული არა თუ ღვინით სარგებლობის, დაწურვის ნებასაც არ აძლევს: ყურძენი სოფლებიდან თეოდოსიაში ჩააქვთ, სადაც ღვინოთ აყენებენ და იქედგან რკინის გზით რუსეთში იგზავნება, მეტადრე მოსკოვში, სადაც ღვინის ექსპორტი *) აღემატება იმპორტს **) 120 პროც. (მოსკოვში ვენახი არ ჭხარობს) ამას დაუმატეთ ის რომ მთავრობის განკარგუ-

*) გაზიდვა.

**) შემოზიდვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით მთელი კომიტეტი იყო იმ დროს თეოდოსიაში, რომელიც ჰყიდულობდა ღვინოს და ბრძოლის ველზე ჯარს უგზავნიდა. ეს იყო შარშან შემოდგომას. იმ დროს თეოდოსიაში 8 ათასი ჯარის-კაცი იყო: აქ წვრთნიდენ ჯარს და ფრონტისაკენ გზავნიდენ. როგორც იქმნა დიდი უბედურებითა და წვალებით ერთი ნაწილი ჯარისა მოამზადეს და უნდა წასულიყო. წინა დღეს დაურიგეს თოფები, ტყვიები, გამოაწყვეს სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიებმა მიჰმართეს სიტყვებით და გულმოდგენით უხსნიდენ რომ ისინი „რევოლუციის დასაცავად“ მიდიან პეტროგრადს. თან ეუბნებოდენ „რევოლუცია განსაცდელშიაო“ და აქაც რასაკვირველია მარტში გამოჩეკილნი სოციალისტები ბანს აძლევდენ.

საომრად გამზადებული ჯარი, შეიარაღებული, შეგნებული, რომ რევოლუცია განსაცდელშია. ეს კარგად აუხსნეს „მარტოველებმა“ (მარტის სოციალისტები თუ არა სხვა ვინ გაბედავს ჯართან ლაპარაკს, ან მიტინგზედ—ეს ხომ მათი მონოპოლია გახლავს; ეს არის „ნამდვილი თავისუფალი სიტყვა“... განსვენებული ბროსსე გამახსენდა: „ვარდთა და ნეხვთა ვინაიდან მზე ერთად მოეფინების“; ნეხვი ერთგვარი მცენარეაო, საქართველოში ხოლმე იპოვებაო, სთარგმნის ბროსსე ფრანგულად. ბროსსეს არ იყოს „თავისუფალი სიტყვა“ ერთგვარი მცენარეა, რომელიც მხოლოდ რუსეთში იპოვება, ამ მცენარეს ვერ ჰპოვებთ ვერც ამერიკაში, ვერც საფრანგეთში და ვერც ინგლისში, სადაც დასტურ თავისუფალი სიტყვა დაიბადა და აკვანი დაიდგა —აგერ ეგერ—გულს ნუ გაიტეხთ, ეს მცენარე ამიერ კავკასიის რესპუბლიკაშიაც იპოვება.

გათენდა, სამხრეთის მზე ელერსება შავი ზღვის ტალღებს, მატარებელი მზად არის რომ თავისუფალი ჯარი თავისუფალის რუსეთის წაიყვანოს... მაგრამ... ყაზარმებიდან რკინის გზამდის ვიღაც ბერძენის პაპარისტოს სახლი შეხვდათ—ნუ მოგივა გული ინოროდცებზედ ამის შემდეგ—იქ ღვინის სარდაფია; „ამხანაგებო ეს ყველა ჩვენია დღეს!“—შემოარტყეს ალყა მამაცურად და მიიტანეს იერიში, ნახეს ღვინო, დათვრეს... ამ სარდაფიდან მეორე სარდაფს მიაშურეს, ეზოში პატარა ერთ სართულიან სახლია ოთხ ოთახიანი. იქ ზღვის ეროსბის ინსტრუქტორი ფრანგი, ცოლით და ორი ბავშვით და მოხუცებული სიმამრით ნაციმბირალი ძველი ემიგრანტი გახლავს. საბედნიეროდ არავინ იყო შინ, ბავშვები სასწავლებელში და ცოლ-ქმარი სამსახურში—ცოლი ინგლისურ ენის მასწავლებელია გიმნაზიაში. შეეჭრენ ბინას, დარწმუნდენ, რომ ბურჟუა და ,,ინოროდცი'' სდგას, როცა ინგლისურ ფრანგულ წიგნებს წააწყდენ მილეწეს-მოლეწეს! მერმე როგორ? სკამების თითო ფეხი ოთხ ნაჭრად იყო დამტვრეული ილია მურომეცის ძალა არ უნდა ამ საქმეს. ფეჩი დანგრეული და თვითეული აგური დატეხილი პატარ-პატარა ნაჭრად. ტანისამოსები დაფლეთილი ნაჭერ-ნაჭერად და წიგნები ნაკუწ-ნაკუწად ქცეული და ყველა ეს ერთად არეული ნაგავს წარმოადგენდა. არ დაიწამოთ უმატებსო—იხილეთ ოქმი საფრანგეთის გენერალ კონსულისთვის გაგზავნილი. შეასრულეს ,,რას თავისს'' მოქალაქებრივი მოვალეობა მიჰმართეს სხვა სარდაფებს, ამათ დანარჩენი ჯარიც მიამატა, ჯარს სხვა ხალხიც ზახილით ,,наша взя...'' ჩვენი გავიდაო... სთხოვეს გუბერნიის კომისარს სიმფეროპოლში ჯარი მოგვაშველეო—პასუხი იყო: აქაურ ჯარის იმედი არ მაქვსო, რადგანაც ჯარს ეთქვა ,,ბურჟუას'' საქონლის დასაცველად კი არ ვართო, არამედ რევოლუციას ვიცავთო—დააქციეთ ღვინო.

დაიწყეს ღვინის დაქცევა. შემოკრავდენ ნაჯახის ყუას ბოჭკას, გააგდებინებდენ ძირს და ილვრება ღვინო. ასე დააქციეს 200 ათასი ვედრო ღვინო. ცოტა ხანში თეთრი და შავის ღვინის ღელე ქუჩის თხრილით მოჩუხჩუხებდა შავ ზღვას ერთვოდა... დახე ხალხის გამჭრიახობას. წაიჩოქენ და ეწაფებიან დასალევად... მოიხმეს—ბოდიშს ვიხდი მგონია ქალაქში ,,ქანქარი'' ჰქვიან—ღამ-ღამეობით რომ ერთ ალავიდან ბოჭკებით გააქვენ და სათავეში ჩაუსხეს...

მაგრამ ნურას უკაცრავად, მსწრაფლ გააძვრეს ,,შინელები'' და დააგუბეს ღვინის ღელე... სიბინძურე აცურდა ზევით, ,,შინელებს'' მოედვა... შინელების ქვეშ კი თავიანთ სადღეგრძელოს სვამდენ და სვამდენ—,,მხიარულება სმაშიო'' სვეს ვიდრე ღვინო ფაფასავით გასქელდა.

რუსული ანდაზა ,,ადამიანი ღორი რომ არ არის ყველაფერს შეეჩვევაო...

სწორედ მათზე უთქვამთ!.

მ—ე.

## კორესპონდენცია.

**ქ. ზესტაფონიდან.** კვირას, 9 თიბათვეს მოხდა ზესტაფონის სამარხი სალარის წევრთა საზოგადო წლიური კრება, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. ებანოიძე და მდივნად კი კ. გეწაძე.

მოხსენებას ჰკითხულობს სარევიზიო კომისიის წევრი ტ. ნიორაძე 1916 და 1917 წ. წ. ანგარიშების შესახებ. მისის სიტყვით, ორივე წლს ანგარიში სისწორითაა შედგენილი, მხოლოდ გამოტოვებულია 12 მ., რომელიც არც ერთი წლის ანგარიშში არაა გატარებულიო. აღსანიშნავი ყოფილა მხოლოდ ის მოქმედება გამგეობისა, რომ დაუჯარიმებელი დაუტოვებია ის წევრნი, რომელნიც თვისის დაუდევრობით ამის ღირსნი იყვნენო. დასასრულ მადლობა უნდა ეთქვას გამგეობას საქმის მუყაითობისა და მოვალეობის სისწორით წარმოებისთვის, აბოლოვებს მომხსენებელი.

შემდეგ გამგეობის თავმჯდომარე მალაკელიძე მოახსენებს კრებას 1916 წ. ანგარიშებს ცალკ-ცალკე. 1917 წ. 1 იანვრამდის სალაროს ჰქონდა თანხა 7,824 მ. 65 კ. 2) გარდაცვალებისა გამო წევრების გადასახადებიდან შემოვიდა 4,454 მ. 50 კაპ. 3) ახლად მიღებული წევრთაგან შემოსასვლელი გარდასახადი 101 მ. 25 კ. 4) შემწეობად მისაცემ ფულებიდან სალაროს დარჩა სასარგებლოდ თანახმად მე-10 მუხლისა 170 მ. და 35 კაპ. 5) ფულების სარგებელი შემოვიდა ბანკიდან 342 მ. 77 კაპ. სულ 2,893 მ. 52 კაპ. აქედან გასავალი ყოფილა:—1) შემწეობა სამარხი—2917 მ. 2) საქმის საწარმოებელი 198 მ. 55 კ. 31 შრომის ჯილდოთ გამგეობას 250 მ. 4) შენახულია ბანკში სასარგებლოდ 8000 მ. 5) სახელდახელო ანგარიშზე სამუშაოდ დატოვებული 1527 მ. და 97 კაპ. სულ 12, 893 მ. 52 კაპ. 1917 წ. 1 იანვრის წევრთა რიცხვი იყო 500, გამოაკლდა 5, გარდაეცვალა 6, მიემატა 9, დარჩა 498.

კრებამ დაადგინა 1) ანგარიში მიღებულ და დამტკიცებულ იქმნეს. რადგან მოქმედება რთულდება და იზრდება გამგეობის წევრთა რიცხვი გადიდდეს სამიდან ხუთამდე. 2) მიეცეს გამგეობის თავმჯდომარეს ი. მალაკელიძეს შრომის გაწევისათვის წიგნების შესაძენი და წარმოებისათვის 200 მ. თუმცა ამაზე მალაკელიძე უარს ამბობს. 3) საკანცელარიო ხარჯებში მისაცემად გადაიდო 300 მ. წლიურად.

გამგეობის ახალ წევრებად არჩეულ იქმნენ. ა. ებანოიძე და ბ. გაჩეჩილაძე.

ქ. გძელი.

—

**ქუთაისი, გაღმა უბანი.** ოთხშაბათს, 12 ივნისს, წყალგაღმა ნაწილში ძველი ლაგირის ქუჩაზე სცენის მოყვარეთა ჯგუფის მიერ სამკითხველოს სასარგებლოთ გამართულ საღამოზე წარმოდგენილი იქნა აკაკის „გამზრდელი“, რომლიდანაც დარჩენილ ხარჯებს გარდა წმინდა შემოსავალი სულ 150 მან. გადაეცა სამკითხველოს გამგეობს.

გამგეობა ულრმეს მადლობას უძღვნის საღამოს გამგეს—ანა მელიტონის ასულს ფონ-რაიფ-შნაიდერისას, საღამოს მომწყობთ—ევგენია ტყეშელაშვილის, საშა რუსაძის და ანეტა სალდაძის ასულთ, სცენაზე მოთამაშეთ—ანასტასია ტყეშელაშვილის, ჟენია წიქორიძის, ნინო თევდორაძის და ლიუბა რუსაძის ასულთ, აგრეთვე მოხდენილი ცეკვისათვის პატარა ქალებთ—ჟენია რუსაძეს ნინო წიქორიძეს და ნათელა ნიკოლაძეს.

საღამომ მწყობრად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოება გაამხიარულა. იმედია ამ უბნის ახალგაზრდობა წაბაძავს ამათ და სამკითხველოს გამგეობის ნებადართვით მალ-მალე გამართავენ ასეთ საღამოს და მით საშუალებას მისცემენ იარსებოს მათთვის დაარსებულმა სამკითხველომ.

სამკითხველოს პასუხის მგებელი გამგე **ლადო ბზვანელი** (ნაცვლიშვილი).

—

**ძირულიდან.** 15-ს ამა ივანობისთვეს ფოთი-ბათომის მხრიდან საღამოს ექვს საათზედ შემთხვევით გამოიარა სამხედრო მინისტრმა, გ. გიორგაძემ. მატარებელი შეჩერდა რადგან სახალხო მატარებელი უკვე გამოსული იყო სადგურ ბელაგორიდან. ამით ისარგებლა ადგილობრივმა აფთიაქარმა ქათამაძემ, და სთხოვა დახმარება აღმოეჩინათ დამშეულ შრომის საზოგადოებისათვის. სამხედრო მინისტრმა ქათამაძეს ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

ი. აბდ.—შვილი.

—

**რაჭიდან.** ქუთაისიდან მომავალმა კოტე კვირიკეშვილმა მეტათ სამწუხარო ამბავი გადმოგვცა. ქვიშარის ჰალაზე ქუთაისიდან მომავალი ეტლი რამდენიმე მგზავრით თავს წასდგომია გზაში ყელ გამოღადრულ ორ ბავშს, ორ ქალს, და ერთ კაცს. გვამები საშინლათ დასახიჩრებული ყოფილა. შეშინებული მგზავრები გამოქცეულან და ეს ამბავი გადაუციათ ჰრებალოში. იქ შეკრებილა რამდენიმე კაცი და დასდევნებიან დამნაშავეთ. როგორც ამბობენ დამნაშავენი ყოფილან ვიღაც სვანები, იგინი სტუმრათ ყოფილან სოფ. ქვიშარს. იქ დამთვრალან და შემდეგ ასეთი საზიზღარი საქმე ჩაუდენიათ. დამნაშავეთა მასპინძელი აღმოჩნდა ერეკლე ცხვედიანი. ერეკლე და დამნაშავენიც შეუპყრიათ და გაუგზავნიათ ცაგერში სატუსაღოში მოსათავსებლად. მიზეზი მკვლელობისა გამოურკვეველია. დაწვრილებით შემდეგ გაცნობებთ.

ვ. ჭიჭინაძე.

—

**სოფ. სადმელში** 3 ივნისს (ძვ. სტ.) რამდენიმე შეიარაღებული ავაზაკი თავს დაესხა ფოშტას, გაძარცვეს ფოშტა და კოოპერატივი. ფოსტიდან წაიღეს 300 მ. ფულათ. ამანათები და ქვეშაგებელიც კი. კოოპერატივიდან წაიღეს 2000 მანეთი. ავაზაკებს დაედევნენ შეიარაღებული სოფლელები. ავაზაკები სვანები ყოფილან.

ვ. ჭ.

—

**სოფ. სიქთარუა.** სოფ. სიქთარუა მდებარეობს შორაპნის მაზრაში, თერჯოლის საზოგადოებაში. მცხოვრებთა რიცხვი უდრის 210 კომლს. ამ სოფელში მიწის დიდი სივიწროვეა, საყოფი პირნახული არავის არ მოსდის. ძალიან ცოტაა ისეთი მცხოვრები რომ მოსავლამდი სიმინდი ეყოს. წელს ვერც საყიდლათ შოულობენ სიმინდს. სოფელში არსად არ მოიჩოება. სოფელი დიდი გაჭირვებაში არის ჩავარდნილი, მოსალოდნელია კიდევ მეტი საშინელება დაატყდეს გლეხობას თუ ზომები არ იქნა მიღებული.

მთავრობამ უნდა მიაქციოს გლეხობის ასეთ მდგომარეობას ყურადღება და აღმოუჩინოს რაიმე დახმარება.

ვ. გუთრუნისპირელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნუმერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

ბალახოვან-კახიანოურის ეკლესია ულრმეს მადლობას სწირავს. ქ. ქუთაისში მცხოვრებთ ნისა ხანუმ ხასანბეგ და ფირუზ—ხანუმ ფაშა ბეგ [illegible]ვებს რომელთაც ამ ხსენებულ ეკლესიას შემოსწირეს ხუთ თუმნად ღირებული საბათლავი ემბაზი.

მღ. [illegible] ბუჩიძე.

—

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ამ პატარა განმარტებას მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემული გაზეთის მახლობელ ნომერში.

გაზეთ „ჩვენი ქვეყანა“ ში (№110) იყო მოთავსებული შენიშვნა „ოზურგეთი“. ავტორი ფიქრობს, რომ ეს სახელი წარმოდგენილი იყოს თათრული სიტყვიდან, მაგრამ ეს აზრი შეცდომა არის. გურიის დედა ქალაქის სახელი სრულებით არ წარმოსდგება თათრული ბინძური სიტყვიდან. მისი სახელი ნამდვილი ქართულია, ხოლო წარყვნილია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში.

გურიის დედა ქალაქის ნამდვილი სახელი არის „ორზურგეთი“, სიტყვისაგან „ორი ზურგი“ და არა თათრული სიტყვისაგან „ოზირგეთი“, ანუ ოზურგეთი.—ეს სახელი უთუოდ ძველი დროიდან ეწოდებოდა იმ ალაგს, სადაც ეხლა ოზურგეთია. ამ სახელს ძლიერ ამართლებს ქალაქის მდებარეობის „ტოპოგრაფიული რელიეფი“ თუ შეიძლება აგრე უწოდოთ. ქალაქი ოზურგეთი მართლაც ორ ზურგს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ორ შემაღლებულ სერს შორის ძევს.

ჩვენი წინაპრები, რომელთაც ქართული ჩვენზე უკეთ იცოდენ, უთუოდ არ შეარჩენდენ თათრულ ბინძურ სახელს, რომ გურიის დედა ქალაქის სახელი ნამდვილი ქართული „ორზურგეთი“ არ იყოს. ეგრე წარყვნილი უნდა იყოს სამეგრელოს დედა ქალაქის სახელიც „ზუგდიდი“ იმისი ნამდვილი სახელი უნდა იყოს „ზურგდიდი“ და არა ზუგდიდი.— ჩემის აზრით წარყვნილი სახელი უნდა გადასწორდეს „ორზურგეთად“. მეტი არაფერი!

ამ შენიშვნამ მომაგონა ერთი შემთხვევა ჩემი ჭაბუკობის დროისა, რომელიც ამ საკითხს ეკუთვნის. გურიაში ცხოვრობდა ერთი დიდი პატიოსანი და მთელი ქვეყნის გულ შემატკივარი ადამიანი. ეს გახლდათ თავადი გრიგოლ გურიელი, რომელსაც ძლიერ უყვარდა მოზარდი თაობა. ამის გამო მისას ხშირად იკრიბებოდენ. როდესაც სწავლა დავასრულეთ ოზურგეთის „უნივერსიტეტში“ მე და რამოდენიმე ჩემი ამხანაგი ერთ საღამოს ვესტუმრეთ მას. იმან მამაშვილური სიყვარულით მიგვიღო, დიდი ლოცვა კურთხევით მოგვილოცა სწავლის დასრულება. ბევრ დარიგების და მოძღვრობის შემდეგ, სუფრა გაგვიმართა. ამ დროს მან, სხვათაშორის ეგ აზრი წარმოსთქვა, როგორც შემჩნევის ავტორი ამბობს. იმას ეტყობოდა დიდი მწუხარება სახის გამომეტყველობაზე და სთქვა, რატომ უნდა ერქვას ეს თათრული ბინძური სიტყვა სახელად ჩვენ დედა ქალაქს, სად თათრული სახელი და სად ჩვენი ქალაქიო. ამ დროს ყველანი დავფიქრდით; რამდენიმე წამის შემდეგ ერთი ჩემ ამხანაგთაგანი წარმოსდგა და გაბედულათ მოახსენა: ბატონო! ჩვენი დედა ქალაქის სახელი არ გახლავს თათრულიდან წარმომდგარიო და მისცა ის განმარტება, რომელიც ზემოთ გახლავს მოყვანილი. ეს განმარტება გრიგოლს ძლიერ მოეწონა, ჭაბუკივით სუფრიდან მიირბინა გამმარტებელთან და შუბლთან აკოცა.

ჩემი ყმაწვილობის დროს ძლიერ კარგათ მაგონდება, რომ ჩვენ დედა-ქალაქს სოფლელები ეძახოდენ ზოგი ორზურგეთსა, სიტყვისაგან ,,ორი ზურგი'' და ზოგიც ორზრუგეთს სიტყვისაგან ,,ორი ზრუგი'' ეს სახელი უნდა იყოს წარყვნილი რუსული წერა-კითხვის გავრცელების შემდეგ.

გ. ა. ხ.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

იტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში

ეროვნული ბიბლიოთეკა